

დროება

შპსი ბანკსადადმისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღეს ქართლის, რუსეთს და სხვა ენებზედ.
თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუთებულ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუთებს ავტორს.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს შარდა.

წაღვე ხომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან-ბატონის სახლში კლუბის ქვემოდა.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუბნ მცხოვრებთათვის ადრესი: В.г. Тифлисъ, въ редакцію «Дროება»

«დროების» ფასი

თბილისის წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან. ქუთაისის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.

მიიღება ხელის-მოწერა ცხეთ

„დროებაზედ“

პირველის ავტორად წლის დაძლევაძდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო მხურადიუიღება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, კაბო ბაშროვთან.

გორში, სასოგადოების დეპოში, ალალო თუთაყვთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

სულკრამევი

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

28 ივლისს.

პატივსპირნი. გამოცხადებულია წესი, რა გზით უნდა გადახდეს

«დროების» ქელტონი, 30 ივლისსა.

ღეი-ჩემის ცოდო

(მოთხრობა)

(დასასრული*)

IV

ჩემდა საბედნიეროდ, ცუდი ამბები სრულად მართალი არ გამოდგენ. როდესაც დიდხნის გარეთ-მყოფობის შემდეგ შინ დაბრუნდი, მე შემეძლო მიცემულის სიტყვის შესრულება, უფრო იმით რომ დედაჩემი ყოველთვის ცოტათი კმაყოფილდებოდა.

რაც შეეხებოდა იმის შეილობილს, მე ისეთი აღვილად დასაყოლებელი არ გამოვლექი, როგორც დედაჩემს ვგონა. მისდა გასაცუფრებლად, დაბრუნდი თუ არა, სულ იმას ვცდილობდი, ის უცხო ბავშვი ჩემის სახლიდან დაეთხოვათ. მართალი უნდა ვთქვა, მე სრულებით იმის წინააღმდეგი არ ვიყავ, რომ დედა ჩემს ქალების სიყვარული ჰქონოდა. ეს სიყვარული ეთანხმებოდა ჩემს საკუთარს გრძობას და საიდუმლო სურვილს. მე იმედი მქონდა, შინ რომ დაბრუნდები, იქ დას ვიპოვი, რომლის მშვიდობიანი სახე და ალერსიანი მიღება დამაფიქვებს ჩემს განმარტობებს და გამიქარებს იმ სიმწარეს, რაც მე უცხო ქვეყანაში გამოვიარე-მეთქი. ჩემთვის იმაზედ მეტი სასიამოვნო არა

ჯარიმა იმბთ, რომელნიც დაარღვივენ დადგენილებას თამბაქოს ბაჟის თაობაზე და აგრეთვე როგორ უნდა სწარმოობდეს საქმე ამ საგანზე.

იუსტი. გუშინ ავსტრიის იმპერატორმა გამართა აქ სადღივი გერმანიის იმპერატორისათვის. სადამოზე ორივე იმპერატორი დაესწრნენ საპარადო წარმოდგენაზედ.

პარიში. გურგენიევი ცუდად შეიქნა.

პატივსპირნი. დღეს შურის ფასმა აიწია ნიუ-იორკში, ბერლინში და პეტერბურდში. ჭვავის შურმა (როსხ) ბერლინში აიწია 6 მარკამდე, ხორბალმა 7 მარკამდე, პეტერბურდში ჭვავის შური გაიყიდებოდა 9 1/2 მან.—10 მან., ხორბალი 13 მან. 60 კაპ.—14 მ., ფულის კურსმა აიწია: ლონდონში მან. ღირს 23 3/4 პენსი; ბერლინში 203 პენსი და პარიში 249 3/4 სანტიმი.

ლონდონი. ლორდ-მერის ბანკზე გლადსტონმა წარმოსთქვა,

იქნებოდა-რა, რომ შეამზნა მისთვის ჩემი თავ-გარდაააელი, შორის ქვეყნების ამბავი და ჩემი ვაჟაკობა; მე-ყინდა იმისთვის ტანსამოსი და სხვა სამკაული, რაც კი იამებოდა, მზითევი მიმეცა, ბოლოს მეტანცავა იმის ქორწილში. მაგრამ ეს და წარმოდგენილი მყავდა, როგორც ტანადი, ლამაზი, სასიამოვნო სახისა, გონიერი, გაზდილი, მარდი, ერთის სიტყვით მე ის მეგონა იმ ყმაწვილ ქალებისთანა, რომელნიც ჩემგან ნახულ ქვეყნებში შემხედებოდნენ ხოლმე. ამის მაგივრად სულ სხვა ენახე; ჩემი დობილი იყო დაბალის ტანისა, მახინჯი, გამხდარი, კერპი, უსიამოვნო და მეტად სუსტის კკუისა, ასე რომ პირველსავე ნახვაზე არ მომეწონა.

— ეს კატერინა ისევ თავის დედამასა გაუზნავე, ვუთხარი მე დედა ჩემს ერთ დღეს, როცა მარტო დავრჩით; თუ გიყვარდე, გაუზნავე; ეხლა კი მართლა გელაპარაკები. მე შენ სტამბოლიდან სხვა ქალს მოგვერი, ლამაზს, კვიანსა, რომელიც მართლა რომ სიხარული იქნება ჩემის სახლისა. და მე ცხადად ვუნებადი სახეს იმ ობლისას რომელსაც მოვევრიდი და რომელიც ძალიან მეყვარებოდა.

თავი-მალა ავიღე და გამიკვირდა რა დაფინახე, რომ დიდრონი კრემლები დედა ჩემს ლოყაზედ ჩამოსცივდა. სახეს ნაცრის ფერი დასდებოდა და ზედ გამოუთქმელი მწუხარება იხატებოდა.

— მკ, წარმოსთქვა იმან განწი-

რომ ინგლისის ჯარები გამოვლენ ეგვიპტიდან რეპორტების მოხდენის შემდეგ და აგრეთვე უკანასკნელის ცნობების გამო ტამბაზავიდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთთან უკმაყოფილება მალე მოისპობაო.

კალკუტა. მამაკეილში მოვიდა ერთი რუსის ვაჭარი და აბდურახმან-ხანთან მოლაპარაკება ჰქონდა.

პარი. აქ ხოლერამ იკლო. უკანასკნელს 24 საათში მოკვდა სამოც-და-ათი კაცი; პროვინციებში კი ხოლერა გაძლიერებულია.

ალმასანდრიო. უკანასკნელს 24 საათში ხოლერით მოკვდა თორმეტი კაცი.

მადრიდი. ბარცელონაში არეულობა მოხდა. ლაგერში კავალერიის პოლკი აჯანყდა. ხელმწიფის ბრძანებით მთელს ესპანიაში კონსტიტუციის გარანტია გაუქმდა და სამინისტროს მიეცა ნება, თუ საჭირო იქნება, გამოაცხადოს სამხედრო მდგომარეობა.

პეშინი. წუნელის კიდევ მოხდა

რულების ხმით, მე მეგონა კატერინა შენ მაინც გეყვარებოდა, მაგრამ შეეცდი. შენს ძმებს არ უნდათ რომ და ჰყავდეთ და შენ კი სხვა და გინდა. მანა მაგ საცოდის ბრალია, რომ ლამაზი არ არის? მე ისეთია, როგორც ლმერთს შეუქნია. შენ რომ ნამდვილი და გყავდეს, უსახო და სუსტის კკუისა, განა ქუჩაში გაავდებდი, რომ სხვა უფრო ლამაზი და სასიამოვნო ქალი დათ ავეყვანა?

— არა, დედა, არა, არას დროს. მაგრამ ის შენი შეილი მაინც იქნებოდა, ისე როგორც მე, და ეს კი ჩვენთვის უცხოა, არა არის-რა ჩემი.

— არა; ამოიქეთინა დედა ჩემმა, არა, ეს ბავშვი უცხო არ არის, ჩემია. მე ეგ გამოვართვი მაგის დედას, როცა ჯერ სამის თვისა იყო; როდესაც ატირებოდა, მე ჩემის ძუძუთი ვატყუებდი და იმითი ვანუგეშებდი ხოლმე; მე მას თქვენს სახევეებში ვახვევდი, თქვენს აკვანში ვაწვენდი; ის თქვენი დაა და ჩემი შეილია.

როდესაც დედა-ჩემმა ეს სიტყვები ძლიერის ხმითა და მაღლის კილოთი წარმოსთქვა, თავი მალა აიღო და თვალეში შემომხედა... ის აღბაღ ჩემის მხრით უხიაკს პასუხს მოელოდა, მაგრამ მე ხმაც აღარ ამომიღია. მაშინ თვალეები ძირს დაიღო და განაგრძო ხმა დაბლა, თითქო თავის თითონვე ელაპარაკებოდა.

— რა ექნათ, შეილო, რა ვუყოთ? მეც ის მიხლოდა რომ უკეთესი ყოფილიყო; მაგრამ ხომ ხედავ ჩემი

არეულობა იმ სასტუმროს წინ, სადაც მარტის ოჯახი ჩამოსტა; ხალხი შევარდა სასტუმროში და იქაურობა მიღწე-მოღწეა; პოლიციამ მშვიდობიანობა ჩამოაგდო; ოც-და-თორმეტი კაცი დაიჭირეს.

ახალი ამბავი.

ღეს დილით ხუთ საათზედ თ. ლონდუკო-პორსაკოვი ქახეთში წაბძანდა და ერთს კვირზედ უკანვე დაბრუნდება. თავადი დათვარიელებს სილნალს, ზაქათალას და თელავს.

პოჯორში საზაფხულოდ თავმეფარებულებს თან აპყოლიან ქალაქიდან სხვა-და-სხვა ჯურის ავანკები. როგორც გეტყობინებენ, ამ ერთ თვეში ათი თუ თერთმეტი შემთხვევა მომხდარა ცხენისა თუ საქონლის ქურდობისა, სახლისა და ღუქების გატებისა და სხვ. ჩვეულებრივ ამისთანა საქმეების მომქმენი ტრაგტირებში და მიკიტანხანებში ავარებენ თავსა, მაგრამ პოჯორში არის თურმე ერთი სასტუმრო, სადაც ეს ღამის

ცოდო ჯერ კიდევ მოტევებული არ არის, იყენ ნება ღეთისა! ეს რომ სთქვა, კრემლით სასე თვალეები ზეცისკენ აღმართა, მარჯვენა ხელი გულზედ დაიღო და რამდენსავე წუთს სრულიად გაჩუმებული იღვა.

ნეტა რა ცოდო ექნება დედა-ჩემს ისეთი, რომ ჯერ ღმერთს არ მიეტევენოს; რა შეცოდებისათვის კისრულობდა იგი თავის ნებით ამდენ წვალებას, ზდიდა სხვის შეილებს, რომელთაც ისეთი ღირსება არა ჰქონდათ-რა, რომ დედა-ჩემი ბედნიერი გაეხდათ და რომელნიც ჯილოდ მალსაც არ უხდიდენ?

— შენ, უქველია, გულში რაღაც დარდი უნდა გქონდეს, დედა-ჩემო, მომიტევე! ამ სიტყვაზედ გამოვართვი ხელი და ალერსიანად ხელზედ ვაკოცე ბოდიშის მოსახდელად.

მართალს ამბობ, მე გულში ერთი დიდი დარდი მაქვს; მძიმე, ძალიან მძიმე, ტვირთი მაწევს, შეილო! ღემდის ეს ცოდო იცოდა მხოლოდ ღმერთმა და ჩემმა მოძღვარმა; მაგრამ შენც გამოცდილი ხარ და ხანდის-ხან ჩემს მოძღვარსავით კარგად ლაპარაკობ. ადექ, კარები ჩაკეტე; მოდი ჩემთან ახლო და ყოველისფერს გიამბობ. იქნება ნუგეში მოპოვნო რამე; იქნება მაშინ მაინც შეიბრალო ეს საწყალი კატერინა და ისე შეიყვარო, როგორც შენი ღვიძლი და. ამ სიტყვებმა, მეტადვე იმ კილომ, რომლითაც ითქვა, მეტის

*) ის. «დროება» № 146.

რაინდები «თავისუფალი დროს» ბი-
ლიარდსა და ქალაქის თამაშობით
შეექცევიან. ამ სასტუმროს გვერდით
გაუტყენდათ კარის დღის წინ აღ ერთი
ღუჭანი, რომელსაც თურმე შავკავა-
ძის სარდაუს ეძახდნენ. მართალია, ბ.
პრისტავს ჩაფრები ჰყავს წესიერების
დასაცემლად, მაგრამ ეს ჩაფრები თა-
ვის დანიშნულებას ვერ ასრულებენ,
რადგან სხვადასხვა აქეთ-ნავისრე-
ბი კონსტანტინე იძვრის სიჭაბუკეა.

სენაკის მაზრიდამა გვეყენს:
აქ ერთი დღის გვარის ფაქტობრივი
მივიდა ნავალაღვივის მომრიგებელ-
მოსამართლესთან და გამოუცხადა,
რომ მე ჩემის ცოლისა თხოუმეტი
ათასი თუმანი მმართველს და გთხოვთ
განჩინება დაადგინოთ და ჩემს ცოლს
ჩემზედ ამ ფულისა აღსრულებითი
ფურცელი მიცეთ. მომრიგებელ
მოსამართლეს უარი უთქვამს და თა-
ვად სხვა მომრიგებელ სასამართლოე-
ბისათვის მიუმართავს. ამ გვარი ტყუი-
ლის თამაშებების მიცემა ჩვენში ისე
გახშირდა, ამბობს კორესპონდენ-
ტი, რომ ვისაც ფული აქვს, არ აჩენს
და აღარც არავის ასესხებდა, რადგან
ემინიან მოვალემ თავის მოკეთებებს
ტყუილი თამაშები არ დაურიგოს
და ცარიელზედ არ დამსვას. ამ

მეტი ცუდი შთაბეჭდილება იქონიეს
ჩემზედ. რა ექნებოდა დედა-ჩემს ჩემ-
თან სათქმელი რას უმაღლესა ჩემს
ძმებს? რაც კი იტანჯა ჩემს შინ-არ-
ყოფნის დროს, ხომ სულ მიაშობა;
იმის წარსული ცხოვრება ზვირად
ვიცოდი. რაღას გვიმალავდა მამა აქამ-
დის, რასაც მხოლოდ ღმერთს უმხე-
ლდა და თავის მოძღვარს? როცა იმის
გვერდით დაეჯექ, მუხლები მიკან-
კალბდა. დედა-ჩემმა თავი დაიხარა,
როგორც დამაშავემ, რომელიც თა-
ვის მსაჯულების წინა სდგას და
ჰკრწობს თავის მიუტყეველს დანა-
შაულს.

— ხომ გახსოვს ჩვენი ანულო?
მკითხა იმან რამდენისამე წუთის სა-
შინელ სიხუმის შემდეგ.

— რასაკვირველია, მახსოვს; ან
როგორ დავივიწყებდი, ის ერთად-
ერთი და იყო ჩვენი; ჩემს თვალ წინ
არ მოკვდა!

— მაი, რომ ის ერთად-ერთი ქა-
ლი არა ყოფილა ჩემი. შრისტაკი
შენზედ ოთხის წლით უფროსია. იმა-
ზედ ერთის წლით უმცროსი პირვე-
ლი ქალი მყავდა. ეს მაშინ იყო,
როცა ჩვენმა მეწისქვილემ ჯვარი
დაიწერა. მამა-შენმა ქორწილი შეა-
გვიანებინა, რომ ჩემს ორმოც დღეს
გაველო და მე და იმას საქორწილო
გვირგვინები ერთად დაგვეკიოა მეფე
დედოფლის თავზედ. იმას უნდოდა,
რომ ხალხში გავეყვანე და გავერთე,
რადგან ქორწილამდის ბებია-შენის
სახლში მე საიშოვნება არა მინახავს-
რა.

ჯვარის-წერა დილით მოხდა. სალა-
მოზე სტუმრები მოგროვდნენ; სკრიბ-
კა უკრავდა; ყველანი პურსა სჭამდნენ
და მხიარულდებდნენ. ღვინით სავსე

გვარ მოქმედებს თან მოჰყვა ნლო-
ბის დაკრევა და ისეთი ფულის სი-
ძვირე, რომ მანეთზე მანეთი მისცეს
კაცმა, სასესხებელს ფულს ვერსადა
შოულობსო.

ამ დღეებში პირველის გილ-
დიის ეპარს პალაშკოვსკის და მა-
ლიშეის გამოსვლით ნება აქციონე-
რულის საზოგადოების დაარსებისა,
რომელსაც სახელად ერქმევა: «სა-
ზოგადოება ბათუმში ნათის წარ-
მოებისა და ეპარხისა». ძირითადი
თავი ამ საზოგადოებას ექნება მი-
ლიონ ნახევარი მანათი, რომელიც
ათას ხუთას აქციონზედ განაწილებუ-
ლია; თითო აქცია ელირება ათასი
მანეთი («Новости»).

სიონალის მაზრაში უკანასკნელ
ხანს ვაზებმა ძალიან ხმაბა დაიწყეს
თურმე. ზოგნი ამ მოვლენას გაე-
ლილ ზამთრის ყინვებს აბრალებენ,
ზოგნი ამ ზაფხულის სიცხეს, ზოგნი
კიდევ ფილოქსერას. მაშინდელი ვე-
ნახის-ჰატარებები კი ამბობენ, რომ
ეს ფილოქსერას ბრალი არ უნდა
იყოს, მაგრამ კარგი იქნებოდა
ადგილობრივ გაეხარჯათ მცოდნე პი-
რებს და კახელი მემამულეები დაემ-
შვიდებინათ (პაუკაზი).

ქიქები ხელოვნულ გადადიოდა; მამა-
შენი გახიარულდა, შინა საიშოვნე-
ბა უყვარდა იმას; ხელკაზოცი გად-
მომიგლო და სატანცოდ მიმიწვია.
მე რომ ის მოტანცავე დაინახე,
გულზედ მამა და მეც მომინდა ტან-
ცაობა, — მაშინ ყმაწვილი ვიყავ და
დროს გატარება მიყვარდა. ჩვენ ორ-
თავ ერთად ვიტანცავთ და თავშიაც
ვიდებოთ. სხვები ჩვენ მოგვედევდნენ,
მაგრამ ჩვენ ოდენა და ჩვენსავით კარ-
გად არავის უტანცავია. შეუღამის
დროს მამა-შენი გავიხმე და ვუთხა-
რი: «მე თან აკენის ბავშვი მყავს და
მეტი დარჩენა არ შემიძლიან. ბავშვ-
საც ეშვიება და მეც მინდა ვაწოვო.
აქ ხომ ვერ მივცემ ძუძუს ამოდენა
ხალხში და მორთულ კაბაში. შენ
თუ გინდა, დარჩი და დრო გაატარე;
მე შინ წავალ და ბავშვსაც თან წა-
ვიყვან. — პარგი; მოდი ჯერ ერთი კი-
დევიტანცავოთ და მერე ერთად წა-
ვადეთ; მითხრა ჩემმა ქმარმა; ღვინო
როგორც თავში გამოვჯდა და მეც
მინდა შინ წასვლა».

უკანასკნელი ტანცაობა რომ გა-
ვითავეთ, შინსკენ გავემგზავრენით;
მეფემ შესკრიპკე სკრიპკით შუა გზამ-
დე გამოგვყავდა. მაგრამ გზა კარგა
შორი იყო, რადგან ქორწილი სოფ-
ლის ბოლოში მოხდა. წინ ბიჭი
მიგვიძღვოდა ფარით; მამა-შენს (კა-
ლის ხელით ბავშვი ეჭირა, ცალი
ხელი ჩემთვისა ჰქონდა მოცემული.
«შენ, მგონი, დამელალოა», მითხრა
იმან. — ჰო, მიშელ, მიუტე მე, — უ
გემინიანო; პატარა კიდევ გაისარჯე
და შინა ვართ; ქვეშავებს მე თითონ
მოვიშალებ. ნეტავი ამდენი არ მე-
ტანცავებინო. — ეს არაფერია, ვუბა-
სუხე მე მინდოდა შენთვის ხათრი
არ გამეტენა, ხვალ დავისვენებ».

იმავე გაზეთსა სწერენ, რომ
შლოდიკავკაზის გზაზედ ეტაპის სახ-
ლები მეტად ცუდს მდგომარეობაშია,
არესტანტები თხოუმეტი დღე მოდიან
შლოდიკავკაზიდან თბილისამდე და
თხოუმეტი ღამე უნდა გაატარონ ამ
საზოგადო სახლებში, სადაც ზამთარ-
ში ცუცხლი არ დაინთება, რადგან
კომლით დაიღრჩობა კაცი და ზაფ-
ხულში საშინელს სიმყრალის სუნი
სდგას.

«დროშის» კორესპონდენტი.

დაბა საჩხერა, 16 აგვისტო. ჩვენმა
გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან,
თუ როგორი გაჭირდება და შეწუხება
გამოიარა შარშანდელის გვალვის გა-
მო იმერეთის ხალხმა, განსაკუთრე-
ბით ზემო-იმერეთისამ. საწყალი მდა-
ბალი ხალხი შიმშილით სიკვდილის
თავიდან ასაცდენად საშინელს ვალ-
ში ჩაუარდა. ამისთანა შეწუხებულ
მდგომარეობიდან ვითომ გამოიხსნეს
მდაბალი შევიწროებული ხალხი ზო-
გიერთმა ფულიანმა ეპატორებმა.
მათი მანეთს წლაძდის აძლიერდნენ ორ
მანეთად, თუმანს ოცნ მანეთად! სა-
კვეთრად უნდა ჰქონდნენ ამ ეპატა-
ტორებს ეს შემწეობა. დაშინებულმა

ამ ლაპარაკით შინაც მიველით.
ბავშვს სახვევები გამოეუცვალე და
ძუძუ ვაწოვე; მამა-შენმა ქვეშავები
მოამზადა. შრისტაკის ეძინა ბებერ
შენეცასთან, რომელიც შინ ყარაუ-
ლად დავადეთ. ჩვენც ძალიან დავეწ-
კით. ძილში ბავშვის ტირილი შემო-
მესმა. «საწყალი ბავშვი, ესთქვი მე,
დღეს საყოფი ვერა ვაწოვე-რა». მე
მინდოდა აკენს დავუტეობოდი და
ისე მეწოვებინა, მაგრამ მეტად და-
ლაღული ვყავ და ფეხზედ ვეღარ
დადექ. ამოვიყვანე ბავშვი აკენიდან
და ჩემს გვერდით დავაწვიე. ისე
ჩამეძინა.

არ ვიცი, რამდენი საათი იქნებო-
და, მაგრამ დილის რიყრაყზედ და-
ვაპირე ბავშვის აკენს მივე ჩაწვიე.
სქენა რომ მოვიწოდებე — რა ვნახე!
ბავშვი უძრავად გაშეშებული იდგა.
მათივე მამა-შენი. სახვევები შე-
მოვაფხრიწეთ; ვეცადეთ სული ჩავ-
ვედგა, გავეთბო საბრალო ბავშვი,
მაგრამ ამაოდ ჩავვიარა ცდამ. ბავშვი
მოამკვდარიყო.

— დედაკაცო, ბავშვი დაგიღრჩია,
მითხრა მამა-შენმა და თვალები ცრემ-
ლით ავესო. მეც მოვეყე ქვითინს,
ყვირილს, მაგრამ მამა-შენმა ხელი
პირზედ დამაფარა: გახუმდო, მითხრა
იმან, რას ჩადიხარ, მხეცო! სწორედ
ეს სიტყვა მითხრა. სამი წელიწადი
იყო, რაც ჯვარ-დაწერილები ვიყავით
და ცუდი სიტყვა ამის მეტად არ
უკადრებია. იმ დღეს კი მითხრა. —
ნუ ჰყვირო ეგრე! ხომ არ გინდა
მეზობლები დაადვიო, წავიდნენ და
ქვეყანას მოჰყინონ, რომ დაითვერ-
და შენი შვილი ჩაღრჩე? მართალ-
საც ამბობდა. ღმერთმა განუსვენოს
იმის სულს! ეს ამბავი რომ სხვებს

და საწყალმა ხალხმა წილს უმეტესი
ყანები დათესა იმ განზრახვით, რომ
კიდევ სულთამხუთავებს არ ჩაეცვი-
ნოდეს ხელში. პარგი ღმერთმა მოგ-
ცეს, კარგი პურის მოსავალი ამ ჩვენს
მივარდილ ზემო-იმერეთში იყო.
ხალხი ამ ყანებს შეხაროდა აღდგო-
მის კერცხვით და მისის ცქერით
იძლობდა გულსა, მაგრამ, ნათქვამია
«უბედურ კაცს ქვა აღმართში მიე-
წევია», ამისი არ იყო, ისე დამარ-
თა უმეტეს ნაწილს ჩვენის მდაბალი
ხალხისას. საქმე ის ვახლავთ, რომ
ზოგიერთა ჩვენებური აზნაური არ
ჰკადრებენ თვინათ კეთილ-შობილე-
ბას ყანების დათესვას (მზისაგან და-
წვისა ეშინიანთ). ან ჩისთვის დათე-
სენ და იმუშავენ? შემუშავებული
და მოსული ყანები არ უჩვენიათ?
აღგებინა, ბატონებო, ზოგიერთა აზ-
ნაურთავანო, მეფენ გლენებისაგან
შემუშავებულ ყანებში, მომკიან და
წაიღებენ თავიანთ სახლში. იქნება
მკითხველს ეგონოს მებატონეებზედ
ვამბობდე? მებატონისაგან თავის ნა-
ყმევის პურის მომკა და შინ წაღება
ჩვენში ჩვეულებრივია.

აღგება ერთი, ან რამდენიმე აზნა-
ური, შემოიკრავს ხანჯალს, ხმალს;
წელში გაიჩკობს რვეოლეფს, მადის
კვირა საღამოს, ან ღამით გლენის

შეეცოთ, მიწა უნდა გამეხეთქნა და
იქ დამემალა ჩემი სირცხვილი, მაგრამ
რა გინდა ქქანა? —

ჩვენი პატარა რომ დაემარხეთ და
ეკლესიიდან დაგბრუნდით, მაშინ შეე-
ქენით გოდება და ტირილი; მაშინ
ცრემლების დამალვა აღარ მეჭირვე-
ბოდა. სხვები მეუბნებოდნენ, ჯერ
ყმაწვილი ხარ, შეილები კიდევ გე-
ყოლებოდა. მაგრამ დრო მიდიოდა
და ღმერთი შვილს აღარ მძლივდა.
მე ჩემთავად ვამბობდი: ღმერთი მსა-
ჯავს, რადგან იმის მოცემულს შვილს
ვერ მოუღარე. მე მრცხვეროდა ქვეყ-
ნისა, მეშინოდა მამა-შენისა, რადგან
პირველ წელიწადს თუმცა მალავდა
თავის მწუხარებას და მანუგეშებდა,
რომ სულით არ დავცემულიყავი;
მაგრამ ბოლოს ისიც ჩემი და ჩა-
ფიქრებული შეიქნა. სამა წელიწად-
მა ისე გაიარა, რომ საქმელი მუდამ
ჯავრისაგან ყელზე მადგებოდა. მაშინ
შენ გაჩნდი; ვინ იცის ამის გულის-
თვის რამდენის ეკლესიის კარგ მო-
ვიარე. ეს ნუგეში იყო, მაგრამ სრუ-
ლი ნუგეში კი არა.

მამა-შენს უნდოდა, რომ შენ ქა-
ლი ყოფილიყავი. მათ დღეს კიდევ
მითხრა: — ღმერთმა კი გაზარდოს,
მაგრამ მე პირჩენოდა, რომ ქალი
ყოფილიყო. — ნუ გეშინიან, მიუტე
მე. როცა ღმერთი ჩემს ცოლად მა-
ბატეებს, მაშინ ქალი მოგვეცემა-
მეთქი.

როდესაც ბებია-შენი წმიდა საფ-
ლავთან წავიდა სალოცავად, თან ჩე-
მის ხელით ნაქსოვი თორმეტი პე-
რანგი გავატანე და სამი ოქრო ძოს-
ტანტინეს სახით, რომ ცოდვის მი-
ტყევის ქალაქი მოეტანა; იმ
თვეშივე ვიგრძენ ანუღაზედ ორსუ-

ყანაში, მკის პურს, მიაქვს სახლში და იძღვას სხვის ოჯახით თავის გამხმარ კუჭს.

შემშლილ შეწუხებული გლეხები ხშირად აკვლენ თავს, ან ელახებიან. აი მაგალითი: სამს იელის, კვირა საღამოს, ხუთი კარგად შეიარაღებული აზნაური ბ—ძე და ბ—შვილები შევლენ ერთს გლეხის ყანაში და დაუწყებენ მკას; ამ დროს მოვარდება გაჭირებული მეპატრონე ღრიალით და ეხვეწება: «თქვენი ძირი, ნუ მომკლავთ შიმშილით». აზნაურებმა იშიშვლეს ხანჯლები და დაუწყეს იმ გლეხსა და მის შვილებს ჩხება. ასტყდა ომი, რომლის წყალობით თქვენი ძირი წაიღო ერთმა მოთავე ბ—თაგანმა. ეს აზნაური, იმ შესანიშნავის ზოდის მცხოვრებნი არიან, სადაც ძვირად ნახავთ კულ-მოუჭრელებს, ჯორს, ხარს და სხ., ეს ზოდი გახლავთ, სადაც ერთ მღვდელს სახლი დაუწევს, მეორეს ცხენი დაუკლეს, სახლს ორჯერ წაუკიდეს ცეცხლი... რომ ზოდელის ბოროტ-მოქმედებანი ჩამოეთვალა, ჩემო მკითხველო, ორ თვეს «დროების» ფურცლები იმას მოუწდება. ამის გამო დავანებოთ ჯერ-ჯერობით ზოდს თავი.

ახლა მეორე სოფლის ნიმუში წახეთ: ს. მერვეის აზნაური—წ—ელნი

ლობა, რა თვეშია ბებია-შენი და ბრუნდა იერუსალიმიდან და მიტევიბის ქალაქი მომიტანა. შაველ დღე ბებიას ვიხარებდი.—აბა, შეიტყე, ქალი იქნება, თუ ვაჭი? მუშებელი ბებიას.—ქალი იქნება, ხომ ხედავ ტანსამოსში აღარ ეტევი, მეუბნებოდა ბებია და მე სინარულით ფხვნიდა აღარ ვიდექი ამ სიტყვების მოსმენით.

როცა ბავშვი დამებადა და ეს ბავშვი ქალი გამოდგა, მაშინ თავის სუფლად ამოვისუნთქე. ჩვენ იმას ანუ-ელს ქალს ერქვა, იმ აზრით, რომ სახლში უიმისობა არ დაგვტყობოდა.—ზმადლობ შენ, უფალო, ვამბობდი მე დღე, თუ ღამე, გმადლობ რომ შენ ამოხრცე ჩემი სირცხვილი და ჩემი ცოდო. ჩვენ ანუ-ელს ისე ეუვლიდით, როგორც ჩვენის თვალის ჩინს. შენ გმურდა ესა და გამხდრობაც დაგეტყო. ბული ათას ნაჭრად მეტყევიდა ხოლმე, შენს ტირილს რომ გაეგონებდი, მაგრამ რამე ქანა. ანუ-ელს მკლავიდან არ ვიხარებდი; მეშინოდა, არა დამართოდა-რა. მა-მა-შენი მიჯაგრებოდა, თუმცა ის უფროც ზრუნავდა ანუ-ელსათვის. მაგრამ საბრალოს რაც უფრო მეტს ვუაღერებდით, უფრო ნაკლები ჯანმრთელობა ეტყობოდა. თითქო ღმერთი ნანობდა, რომ ეს შვილი მოგეცა. თქვენ ყველანი ჯანმრთელნი იყავით, ღონიერი, ცოცხალნი, მუდამ თამაშობდით; ის კი სულ ჩემად იყო თავისთვის, მუდამ ავად-მყოფობდა. ანუ-ელს რომ ესე ფერ-მინდილსა ვხედავდი, ჩემი პირველი ქალი მაგონდებოდა, და იმ ფიქრმა სრულიად დამიძინა, რომ მე თითონ

ოთხს იელისს ძლიერ ადრე შეიარაღებული შებრძანდენ ერთს ძლიერ გაჭირებულის ს. ჯალაურთის გლეხის ყანაში; მომკეს პური და წაიღეს. პატრონი იმ დროს სიმინდის საყიდლად იყო წასული; სახლში რომ ყოფილიყო, იქნება იქაც მომკვდარიყო ვინმე. ახლა მისულა და ატუზულა სასამართლოს კარებთან, ენახოთ როგორ დააკმაყოფილებენ? ს. არგვეთში ხუთს ამ თვეს ისევე პურის თაობაზედ ერთმა კაცმა მოჰკლა მეორე. მურდობას ნულარა ბძანებთ! არა მგონია, სადმე იყოს ასეთი ხშირი და აშკარა ქურდობა ყოველისფრისა, როგორც არის ამ ჩვენს ზემომხრეთში. ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა პირუტყვი თუ ძლიერ კარგად დაკეტილ გომურში არა გყავს და ამასთან ორი კარგად შეიარაღებული ბიჭი კარებზედ არ უყარაულებს, იმედი არ უნდა ჰქონდეს პატრონს თავის საქონლისა. მურდებს რა უჭირთ, ოღონდ ორი კარგად გაკეთებული აზნაური მწყალობლათა ჰყავდენ. ეს აზნაურები გახლავან ამ ზემოთში ქურდების «უჩინ-მჩინის» ქულები». ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ დამკარგველს თავის საქონელს ამ ორის პირის შემწევობით ისე უბრუნებენ, თუ დამკარგავი ამა-და-ამდენს

მოკვალი ისა. მერე ანუ-ელს მომიკვდა... მისაც ეს დღე არ გამოუვლია, შვილო, ვერ იგონებ, რა მწარე იყო ჩემი მწუხარება. მე აღარა მქონდა იმედი, რომ კიდევ ქალი მეყოლებოდა.—მამა-შენი აღარ იყო. მე რომ ქალი არ მეშვილა ვინმე, მგონია ჰკუზავდნენ შვილები. მართალია, ჩემს შვილობილს ძალიან კეთილი გული არა აქვს, მაგრამ რაკი მე ვუვლიდი და უაღერებდი, ასე მგონია ჩემი ღვიძლი შვილი არის მეთქი; მე მიმაიწყდა, რომ ქალი აღარა მყავს და სინილისი დამიმშვიდდა. ანდა ამაბობს: უცხო შვილი ოჯახში მაწვალდებელიაო, მაგრამ ჩემთვის ეს მაწვალდებელი კი არ იყო, სვედის შემამსუბუქებელი იყო. მე ვამბობდი ჩემს გულში, რაც უფრო მეტს ტანჯავს გამოვივლი ამის გამოზღაში, ღმერთი უფრო შემიწყალებს და მომიტევენს ჩემს შეცოდებისა მეთქი. ნუ მთხოვ, შვილო, ნუ, რომ ძატრინა დავითხარო და სხვა უფრო კარგულის ქალი ვეიყვანო!

—არა, დედა, არა, შევეყვრე მე და გავაწყვეტინე სიტყვა. მაგის შემდეგ, რაც მითხარ, მე შენგან აღარაფერს არ მოვიტხოვ. მაპატივე და სიტყვას გაძღვე, რომ ამას იქით ძატრინა დასავით შევიყვარო, აღარაფერი ვაწყვირო...!

—ღვთის მშობელმა გაკურთხოს, შვილო, მითხარა დედა-ჩემმა და შემსუბუქებით ამოიხარა. ხომ გესმის, რომ მე მიყვარს ის უბედური და არ მინდა მაგზედ ცუდი სიტყვა რამე. ან რა მეთქმის? ეს უფლის ნებაა, როგორც უნდა იყოს, მე ვიკისრე ვა და უნდა ვეიტანო კიდევ.

შეპირდება. ახლა იმედი უნდა ექონიოთ, რომ ამ გვარი საქმეები ახალის გულბრატორის ხელში მოიპობა.

(შემდეგი იქნება).

უსხოთი.

ამ უამად მთლად ინგლისელების ყურადღება სოფელსა მისეული. როგორც გაზრტეშიადას სხანს ძალის დაუფრთხება ამ ჭირს ინგლისელები. ამაზე მეტი სალხაზარა აღარაფერი აქვსთ. «ესლა კვლარ მოგატყუებენ, სოფელს ინგლისელები აწის; ჩვენ თითონ შემოვიტანეთ ის აქა», — იძახის ინგლისელები. თუმცა მმართველობა ეწადა ვაჭრობის მინისტრის დილეკს პირით დაქმნადებისა ხალხი, მაგრამ ამას ბუკნა აწაიან დაუჭერს; თუმცა ოფიციალურათაც გამოაცხადეს, რომ აზიური სოფელს არაიან შეჭრისა და მხოლოდ რამდენიმე შემოსევა იყო კუჭის ავადმყოფობისა, მაგრამ ამითაც კვარაინ კერ დაამშვიდეს და იძახის, რომ სწორედ ის სოფელს იყო, რომლისაგანაც ღონდონში სანი და უფლის საგანაში იქვეა ვაჭი მოკვდაო. ერთის სიტყვით ინგლისელები ისე შეშინებულან, რომ არ შეიძლება, არ დაუჭერათ, რომ

ამ აღსარებამ ჩემზედ ძალიან იმოქმედა. მე წარმოვიდგინე რამდენი უნდა ეტანჯნა საწყალ დედა-ჩემს. იმის სულის მდგომარეობა მით უფრო სამძიმო უნდა ყოფილიყო მისთვის, რომ სათნო და ღეთის-მოყვარე აღამიანი იყო. რა საშინელი და უწყალო ტანჯვაა: კაცს ცოდო სინილისს უტანჯავდეს, საქირებდეს მის მოწინაებას და არ შეეძლოს კი. მ-ც-და-რეა წელიწადია საცოდავი დედა-ჩემი წვალობს და თავის სინილისი ვერაფრით დაუკმაყოფილებია, ვერც ბედნიერებით, ვერც უბედურებით.

ეს ამბავი რომ შევიტყე, მთელი ჩემი გონება იმას მოვანდომე დედი-ჩემის გული რითიმე შემემსუბუქებინა; ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ ჯერ ერთი მისი ცოდო უცაბედი იყო და მეორეც ესა, ღმერთი ყოველთვის მოწყალეა და მისი სასჯელი უფრო ჩვენს განზრახვასა და სურვილს შეეფერება, ვიდრე თვითონ დანაშაულობას, მით დროს კიდევ მეგონა, რომ ჩემმა ცდამ უქმად არ ჩაიარა.

მე წავედი სტამბოლში და იქ ორი წელიწადი დავჩინე; დედა-ჩემი მოვიდა იქ ჩემს სანახავად და მაშინ განვიზრახე დედა-ჩემზედ ერთის საშუალებით დიდი შთაბეჭდილება მომეხდინა.

მე მაშინ ერთს შეძლებულს ოჯახში ვიდექი, სადაც კარგად ვაეცან პატრიარხი იოაკიმე II. მით დღეს ერთად დავსვირთობდით ბაღში და მე ვუამბე პატრიარხს დედი-ჩემის ამბავი; ვთხოვე თავის გავლენით დაეჯერებინა საწყალი დედა-კაცი, რომ მისი ცოდო უფალმა მიუტყვა. პატრიარხი-

ინგლისში სოფელს მართლად არ ვახეილიყოს თუმცა მმართველობა წინააღმდეგს ამტყვებს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეკვიპტეში პირველად, რომ სოფელს განხდა, ეველა ინგლისისავე სამხედრო ექიმებმა ერთხმად დაუწყეს წმენდა ეველას, რომ სოფელს არ არის, ნუ ბეშინანთო, მაგრამ ჩვენ ესლა ვიცით, რა მდგომარეობაშია ეკვიპტე ამ სენისაგან და რამდენი მცხოვრები იყო-ტება. ესლაც ბუკნი ექიმთაგანნი ამტყვებენ, რომ ეს თუ სოფელს არის, მანც-და-მანც აზიური არ არისო, მაგრამ რა გამოვიდა, სადაურთც უნდა იყოს, ბუკნს ხალხს კი უფელსა და რა არის ამში ნუუქსაცემი, რომ ის «აზიურია», არ არის, მაშინ როდესაც ხალხი ბუ-სუბისავით იხრება? ინგლისის ხალხი უკმაყოფილოდ არის თურმე მმართველობაზე. ის იძახის, ინგლისელები რომ ეკვიპტეში არა ყოფილიყვნენ, ეკვიპტე თავის თავს თითონ დაიფარავდა ამ სენისაგანაო. რაც შეეხება ინგლისს, იძახს თითონ არ გაუნძრევია, იმაზე რომ სოფელს აქ არ შემოეკვანებინა. ინგლისელი ვაჭრები ან კი რად მოიმდებებდნენ, რამე დონისიბება ესმართ სოფელს აქ შემოტანის წინააღმდეგაო? კარანტინები რომ დაუწყებინათ, ვაჭრობა ხომ შეჩერდებოდა და საჯებლობა მოაკლდებოდათო.

მა მოხუცმა აქო ჩემი ერთგულება სარწმუნოებისადმი და დამპირდა შეწევნას. მე დედა-ჩემი წაიყვანე პატრიარხთან და ვუთხარი რომ წმიდა მამისათვის აღსარება ეთქვა. აღსარება დიდხანს ვაგძელოდა და, როგორც პატრიარხის ნათქვამიდან სჩანდა, მას მოწოდებინა მაშველებლად თავისი უბრალო და ცხადი მჭერ-მეტყველება ჩვენის წადილის მისალწველად. ჩემს სინარულს საზღვარი არა ჰქონდა.

დედა-ჩემი გამოეთხოვა პატრიარხს დიდის და გულ-წრფელის მადლობით და როცა გამოდიოდა პატრიარხის სადგურიდან, სახეზედ დამშვიდება და კმაყოფილება ეტყობოდა.

შინ რომ მივედი, დედა-ჩემმა გულიდან გამოიღო ჯვარი, რომელიც პატრიარხს ეჩუქებინა, ემთხვია, გაშტერებით ყურება დაუწყეო და ფიქრებს მიეცა.

სწორედ წმიდა კაცია პატრიარხი, არა? მკითხე მე. ახლა სრულიად დამშვიდებული უნდა იყო?

დედა-ჩემმა არა მიპასუხა-რა.

—რატომ პასუხს არ მაძლევ, დედა? მკითხე მე; მინდოდა მალე შემეტყო, რომ მის გულში მშვიდობა ჩამოვარდა.

—რა გიპასუხო, შვილო? მითხარა მან ჩაფიქრებით. პატრიარხი წმიდა, ჰკვიანი კაცია, მაგან იცის უფლის განზრახვა, შეუძლიან ყველას შეცოდება მიუტეოს, მაგრამ ვე ბერია, თავის დღეში ცოლი არა ჰყოლია და ვერც ეცოდინება რა არის თავის ღვიძლის შვილის მოკვლა.

დედა-ჩემს თვალები ცრემლით ავესო და მეც ხმა ვეღარ ამოვიღე.

გერმანიის ცოტა არ არის ჯერობის ინგლისზე, ესპანიაში უკვე დადგინა კანტონები იმ სომხდლებისათვის, რომელნიც ინგლისიდან მიიღეს იქ, სხვა სახელმწიფოებშიც მალე მიხვდებიან ესპანისა და კანტონების დაწესებას. თუ ინგლისს განსწავლავს სომხდლებს მათნი და უკეთესად შეეძინოს, აღიარდ მისი განკარგვა მიიღონ და ბევრს ფულს იძენდეს, სხვა ხალხსაც ასე უფროებენ განსწავლავს. უნდა ექნას ესტაბლიშმენტი ინგლისის არისტოკრატისა და სხვა სომხდლების არისტოკრატისა, — უმნიშვნელო სოფლისა, რადგან ეს უმნიშვნელო ყოველთვის იქ ბუდობს, სადაც სიღარიბე და სიღატაკე, სადაც შიმშილია, სადაც ყველა ლუკმის პურის საშოვნელად იღვწის. საქ სოფლისა ისე თავისუფალია, რომ თავის დღეში არ დასხდეს იმ ადგილებს, სადაც მსოფლიო ფუფუნება და განცხრება, სადაც სუფრასად გარეცხვები და ღვინობა და სადაც მართალი ყოველი ექიმებისა განსახლებიან. როდესაც სოფლისა თავისა შესწავლებს, მაშინ ინგლისის სომხდლები, როდესაც დაინახენ, რომ სოფლის მკაცრ ფრენსა და სიღარიბით სახსი მიუღწერია, — მსოფლიო თავს განიჭებენ და იტყვიან; «სოფლისა სიმწიფე ავადმყოფობას, მკაცრ ჩვენი შრომები, რომ დაჯერათ, რომ დავიდუბებოდით, ჩვენი მიღობები ხომ ჩინთქობდნენ! რამდენიც უნდა ილანარკონ ინგლისის დიპლომატებმა, ესლაც ცხადია, რომ ინგლისში სოფლის არის, ამაში აღარავითარი ეჭვი არ შეიტანება და თუ იქაურს ღრუბობანს ავაში ვერ იპოვის შესაფერს ნიდაგს, სხვა სახელმწიფოებში მანინც არის შესვლება ისეთ პირობებს, რომელნიც იმის გამოვლენას და მოქმედობას ხელს მოუწყობენ, დიდს უბედურობას ჩაადგინებენ. ამისთვის არ უნდა გვივივოდეს, რომ გერმანიაში მიიღოს ინგლისის წინააღმდეგ ისეთი ზომები, როგორსაც ჭირის ქვეყნის წინააღმდეგ მიიღებენ სოფელი.

ინგლისის ინდოეთის სოფლისაზე ნაკლებ არ აწესებს. ღონისძიება რიპონმა, ინდოეთის ვიცე-გუბერატორმა, ისეთს ღებურაფურ პოლიტიკას მიჰყო სული, როგორსაც ინგლისისგან არაფერ მოელოდა. ამისთვის ინგლისელები ჯეროთ აღარ არიან და ამბობენ, რომ თუ რიპონმა ინდოელების ქომაგობას და თავზე სულის სმას თავი არ დასება, დავიდუბებით და ყუანსინი მალე გამოვივა იქაომკრამ მმართველობა ამ ღანაკის ყურს არ უგდებს და დაჯერებულია, რომ მალაღობით ხალხის მართვა შეუძლებელია; იგი ასლაც ვი მიხვდა, რომ თუ ინდოეთში მალე არ მოხდა რეფორმები და წესები არ შეიცვალა, მაშინ უფრო მალე უსწრებლობის უბო, რომლისაც ასე მალაინ უმნიანთ ინგლისელებს და უკან დასვლა გვიანდა იქნება.

— ბერნის ვაჭარის რჩევას აღურჩობლავს ეკვიპტოიდან ბაზის შემოტანა, რადგან სოფლის შემოტანისა უმნიანა.

— ტელერამა ნიდერლანდამ გერმანიის, რომ 22 ივლისს ეველა დამნაშავენი ტისაქლარის საქმეში განთავისუფლებათ: ზარალი ზარინისთვის დაუდვიათ.

განსვალეანი

მთაწმისის სათამაღ-ახნაშრომისა და სასწავლმალისაბან

მოძველის სექტემბრისათვის ქუთაისის სათავად-ახნაშრომისა და სასწავლმალისა შემოღება მიღებულ იქმნენ ეველა მასზე ბიდან მსოფლიო რომოც-და-თვრამეტი უმწიფი (58); ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი — მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უკუგანერად შეიღის და რეწლის უმწიფი. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეცოდინოს ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკადგან შესწავლილი უნდა იქმნესთ ყოველ მსრია რიცხვები ერთი დეკანოცამდის. მსურველთ შეუღიანთ თხოვნის შემოტანა ოც-და-სუთს აცვის სტომდის; ოც-და-სუთიდან თვის დამღვამდის იქნება ასლი მოსწავლეებისა მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლმალის ინსპექტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-ახნაშრომის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდან, რომ მთხოვნილი ბანკის დამფუძნებლად ირიცხება, და წლავანობის მოწმობა.

ესამე და მეოთხე განყოფილებაში და აგრეთვე პირველს პრეგომინაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება. (15—11)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შუადრეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 პ. 10 გ.	1 პ. 40 გ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისუიდება სხვა საქონელიც: თაფლი, რეკლავები, გრატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, გოგონები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—გაცის და ქალის, სელ-სასოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ექვლაფერი 25-დან 50 პრანტით უფრო იათვად, ვიდრე სხვა რომელსამე მალაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაჯზავნს არაფერს არ ისდას. (100—12)

სტამბა

მთიანე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ღონის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: ვაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრელობს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაგაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

თიფლის, ტიპოგრაფია ეფიმია ივ. ხელაძე.

ინგლისის მალაზიაში

თიხს-სამოაზანი



ბავ-მასტარი

ამაგრებს თიხს და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კან.

(100—14)

საკლობუსო



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი ერთადერთი სასტამბო-ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „სელისათვის“ — 25⁰/₁₀₀ იათვად, ვინც სხვაგან იქვე: მელანი, ქაღალდი, განკურტები, რეკლავები, ღაქი, კარხანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სივარები, ალბომები, რამები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესა, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორცვის), თეთრეულისათვის, პატარა ხალკო, იატაკისათვის კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუნემენი, ზარები, ბინოკლები რეკლავები, გატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომონი, ქამრები, სარტყლები, საყურები, პრობები, საპრობები, გრანები, ფილტრები, შროტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისანი მაკინტოშები, გრატები, საქმიო ქაღალდი გატერ-კლავისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშვი—20 პ. (100—55)

გაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 ივლისიდან 1 აგვისტომდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუ-	
სეთის ფქვილისა —	1 გარ. 5 გ.
აჭაურის ფქვილისა: პირ-	
ველის ხარისისა —	1 გ. 3 გ.
მეორისა —	1 გ. 2 1/2

იმავე ფქვილ. თორნიში გამომცხვარი:

პირველის ხარისისა —	1 გ. 5 გ.
მეორისა —	1 გ. 3 1/2
მესამისა —	1 გ. 3 გ.

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ღავაში 1	გ. 5 გ.
მეორის ხარის. ღავაში 1	გ. 3 1/2
მესამისა —	1 გ. 3 გ.

მორხის ხორცი:

პირველის ხარისისა —	1 გ. 8 გ.
მეორის —	1 გ. 7 გ.
სუვი	— 1 გ. 15 გ.
ცხვრის ხორცი —	1 გ. 7 გ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ 2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდან თბილისისკენ 9 საათზედ დილისა.

რიონიდან თბილისისკენ 2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდან თბილისისკენ 9 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ 9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 12 საათზედ ღამისა.

ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 8 საათ. და 46 წამ. დილისა.